ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (19858) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.



ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲛᲫᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ

ᲣᲞᲝᲕᲔᲚᲓᲚᲘᲣᲠᲘ ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში მოპოვებული ახალი წარმატებებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს საბჭოთა სომხეთის მშრომელები.

შარშან რესპუბლიკას ზედიზედ მეათედ სამუდამოდ გადაეცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა. განვლილი ხუთწლედის მანძილზე იქ 33,3 პროცენტით გაიზარდა წარმოების მოცულობა. განხორციელდა ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის 37 ათასი ღონისძიება.

ᲣᲧᲕᲔᲚᲐᲕᲘ ამან, ცხადია, მიმდინარე, მეთორმეტე ხუთწლედის საბელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულების მკვიდრი ბაზა შეუქმნა აქაურ მშრომელებს, რომლებიც ამუამად მუუაითად იღვწიან პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი იანვრის პლენუმის ᲒᲘᲨᲜᲘᲗᲐᲢᲐᲓ რევოლუციური გარდაქმნების სულისკვეთებით გამსჭვალულ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის.

უმთავრესად სწორედ ამას გაგაცნობთ დღევანდელ ნომერში რუბრიკით — „სსრ კავშირი: ᲛᲫᲝᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲔᲑᲘ“ გამოქვეყნებული მასალები.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲥᲪᲘᲝᲗ ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲘᲗ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲐᲓ, ᲐᲠ ᲨᲔᲕᲔᲣᲨᲘᲜᲓᲔᲗ ᲡᲘᲛᲬᲕᲐᲕᲔᲡ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ შეგვაცალოთ მათი ფსიქოლოგია და აზროვნება მიმდინარე გარდაქმნის სულისკვეთებით — ეს პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა. და აქ უპირველესი როლი უნდა შეასრულოს მარქსისტულ-ლენინურმა განათლებამ — კადრების იდეური წრთობის, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ქმედითმა საშუალებამ. სწორედ ამიტომაც შეუდგნენ ასეთი ცხოველი ინტერესით პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში, ჩვენს იდეოლოგიურ დაწესებულებებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“.

დიდი ხნის წინათ მომწიფებული პრობლემა — პრაქტიკულად ასეთ ერთსულოვან აზრს გამოთქვამენ დაწყებული განხილვის მონაწილენი, როცა დოკუმენტს აფასებენ. სწავლების არსებული ახლანდელი სისტემა მოუქნელია. სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, დროის პრაქტიკულ მოთხოვნებთან, ზედმეტად რეგლამენტირებულია. ამასთან იდეოლოგიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობა უკანასკნელ ხანს მეტისმეტად შესუსტდა. პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები წლების მანძილზე არ ესწრებიან მეცადინეობას, დაკნინებულია პერსონალური მოთხოვნა კომუნისტებისადმი სკკპ წესდების მოთხოვნების მიხედვით მათი თეორიული დონის ამაღლებისათვის. ამასთან ეს ფორმალური დამოკიდებულება პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებისადმი, როგორც რაღაც „დანამატისადმი“, სულაც არ არის აღმოფხვრილი მიმდინარე სასწავლო წელსაც, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესაბამისად უნდა გამხდარიყო სასწავლო პროცესის ორგანიზაციისადმი თანამედროვე მიდგომის აქტიური ძიებისა და აპრობაციის წელი.

შემოწმებამ გვიჩვენა, მაგალითად, რომ ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ამ მიმართულებით ექსპერიმენტების მოწყობა შეზღუდული იყო მხოლოდ ცვლილებებით სწავლების სტრუქტურაში, სკოლებისა და ხემინარების დაკომპლექტებაში. პარტიული ხელმძღვანელები ღრმად არ სწვდებიან მეცადინეობის შინაარსს. მაგალითად, აზერბაიჯანში პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, როგორც გამოირკვა, იხიც კი არ იციან, თუ სახელდობრ რა კურსებს სწავლობენ მიმდინარე წელს. კვლავინდებურად ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში მომუშავე კადრების შერჩევასა და მომზადებას. ზოგან წესად იქცა ამ უნებებზე იმ მუშაკების გაგზავნა, რომლებმაც საქმე ჩაშალეს სხვა პოსტებზე და არა აქვთ მასებთან მუშაობის ჩვევები.

განსახილველად გამოტანილმა დოკუმენტმა შეითვისა, მოახდინა ათასობით იდეოლოგიური მუშაკის, პროპაგანდისტისა და მსმენელის აზრის, სურვილებისა და წინადადებების აკუმულაცია, რომელთა მიზანია ახალ პირობებში სასწავლო პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის რადიკალური ამაღლება. მათში დასახულმა გარდაქმნამ გადაჭრით უნდა გააძლიეროს მეცადინეობის პრაქტიკული უკუგება, მარქსისტულ-ლენინური განათლება გახადოს რევოლუციური განახლებისა და ჩვენი წინსვლის დაჩქარების ქმედითი ბერკეტი.

საჭიროა ადამიანებს ვასწავლოთ მუშაობდნენ ახლებურად, წიგნიერად და ეკონომიურად უძღვებოდნენ, უნარიანად მართავდნენ მეურნეობას. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მომზადებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს მიმდინარე მოვლენის სიმწვავე, უკანასკნელს ახალ აზროვნებას, გარდაქმნილს კადრების ფსიქოლოგიას პარტიის XXVII ყრილობის ნოვატორული მიდგომის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით. არანაკლებ საჭიროა ადამიანებს ვუნერგავდეთ უნარს აზროვნებდნენ დოგმატიკურად, ხედავდნენ მარქსიზმში მის ცოცხალ სულს, გამოეუმუშაოთ უნარი მკაფიო კლასობრივი, ინტერნაციონალისტური პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, იცავდნენ სოციალიზმის იდეალებს და სულიერ ღირებულებებს.

ეს ამოცანები წარმატებით რომ გადავწყვიტოთ, სწავლება უნდა გავხადოთ მოქნილი, მოძრავი, დინამიკურად განვითარებადი სისტემა, რომელსაც შეეძლება სრულად და ოპერატიულად გამოეხმაუროს პრაქტიკის მოთხოვნილებებს. ნორმა გახდეს პრაქტიკული მეცადინეობა, კონკრეტული სიტუაციების ანალიზი, საქმიანი თამაშები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინდივიდუალურ მუშაობას მსმენელებთან, მარქსიზმ-ლენინიზმის, პარტიული დოკუმენტების პირველწყაროების ღრმა დამოუკიდებელ დამუშავებას, მიმდინარე ამბების, ყოველდღიური პრაქტიკის მოვლენების ცოცხალ გარჩევას.

ერთი სიტყვით, განსახილველად ფართოდ არის გამოტანილი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების განსახილველის ყოველმხრივი პროგრამა, რომელიც მოიცავს თვით მის შინაარსსა და მეთოდიკას, მუშაობას პროპაგანდისტებთან და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, პარტიული ხელმძღვანელობის კარდინალურ გაუმჯობესებას. ახლა საჭიროა ყველგან უადრესად გულდასმით შეეხოს ... ᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲮᲘᲚᲝᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲠᲘᲗᲐ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

15 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 14 მაისს გამართულ სხდომაზე განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის მოსსენებისა და სხვა დოკუმენტების მომზადებას.

პოლიტბიუროს განიხილა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის საყოველთაოსახალხო განხილვის შედეგები. როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროექტმა საბჭოთა ადამიანების დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებული მხარდაჭერა პოვა პროექტის ისეთმა დებულებებმა, როგორიცაა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, საწარმოთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება, ნამდვილი სოციალისტური თვითმმართველობის განხორციელება.

მშრომელთა მიერ გამოთქმული მრავალრიცხოვანი წინადადებები და შენიშვნები ხელს უწყობს კანონის პროექტის იმ დებულებათა დაკონკრეტებას, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ საზოგადოებაში შრომითი კოლექტივების როლთან და სამეურნეო ხელმძღვანელობის არჩევნებთან. პოლიტბიუროომ ხაზი გაუსვა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის მიღება მყარ საძირკველს ჩაუყრის ეკონომიკის მართვის მომავალ მთლიან სისტემას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით დამუშავებული კანონის პროექტი განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე და განსაბილველად წარუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა შესაბამისად განხილულ იქნა წინადადებანი შრომისა და სოციალური განვითარების მართვის სისტემის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ, რაც ორგანულად უკავშირდება მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლას და დემოკრატიის გაფართოებას. საჭიროდ იქნა მიჩნეული სოციალური განვითარების პროცესების ხელმძღვანელობის ეფექტიანობის გადიდება ყველა დონეზე სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის დებულებათა საფუძველზე სოციალური საკითხების გადაწყვეტაში შრომითი კოლექტივების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების გათვალისწინებით. დასახულია ღონისძიებები, რომელთა მიზანია შრომის ეფექტიანობის გადიდება და მისი ანაზღაურების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება, იმ სოციალურ ღონისძიებათა ქმედითობის გაზრდა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას რომ ისახავს მიზნად.

აღინიშნა, რომ ახალი ამოცანების შესაბამისად ძლიერდება სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა შრომის, მისი ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური განვითარების დარგში სახელმწიფო პოლიტიკის აქტიური განხორციელებისათვის.

პოლიტბიუროს სხდომამ განიხილა და მოიწონა მ. ს. გორბაჩოვისა და ტ. ივეკოვის შეხვედრის შედეგები. სხდომაზე აღინიშნა, რომ ორი მომძე პარტიისა და ქვეყნის თანამშრომლობა კვლავ წარმატებით ვითარდება. დადასტურდა მათი მტკიცე გადაწყვეტილება აქტიურად იმოქმედონ ერთად ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების, განიარაღების, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის მიზნით. განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ეკონომიკური და სხვა კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ ისაუბრა ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. სავეტსილასთან ა. ა. გრომიკოსა და ე. ა. შევარდნაძის შეხვედრისა და მოლაპარაკების შედეგებზე, აგრეთვე განიხილა ზოგიერთი სხვა საკითხი, რომელთა გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

14 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ მ. ს. გორბაჩოვი და რ. მ. გორბაჩოვა მეგობრულად შეხვდნენ ცნობილ მხატვარსა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრს ს. ნ. რერიხსა და მის მეუღლეს დევიკა რანის. ს. ნ. რერიხი, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ინდოეთში (ბანგალორი), საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის მოწვევით.

გაიმართა ფართო და დაინტერესებული სიკა-ბაასი თანამედროვე მსოფლიოში კულტურის მოღვაწეთა როლისა და ადგილის, ჰუმანიზმის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის იდეალების ჩამოყალიბებაზე მათი გავლენის შესახებ.

მ. ს. გორბაჩოვი გულთბილად მიესალმა ს. ნ. რერიხს და თქვა, რომ ეს შეხვედრა ჩვენი დიდი ხნის სურვილი იყო. თუ დავუბრუნდებით საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის სათავეებს, ორი ქვეყნის მეგობრობის პირველი ყლორტები დაკავშირებულია რერიხების ოჯახთან. საბჭოთა კავშირში დიდი მადლიერებით იხსენებენ ნ. კ. რერიხის ხსოვნას, რომლის მხატვრული შემოქმედება და საზოგადო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა ემსახურებოდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სულიერ კულტურათა დაახლოებას, მსოფლიო კულტურაში ჰუმანისტური საწყისების დამკვიდრებას. ს. ნ. რერიხმა, რომელიც მრავალი ათწლეულია განაგრძობს ამ შესანიშნავ ტრადიციებს, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული თანამშრომლობის განვითარებაში ორი ქვეყნის ხალხთა სულიერი გამდიდრების ინტერესებისათვის.

ს. ნ. რერიხმა თქვა, რომ მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტმა ინდოეთში, პრემიერ-მინისტრ რ. განდისთან მოლაპარაკებამ ღრმა კვალი დატოვა ინდოეთის ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების, ინდოეთის ინტელიგენციის შეგნებაში, ხელი შეუწყო ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. გ. ზახაროვი, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ტ. ტ. სალახოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. პ. ზალიგინი, სხვა ამხანაგები. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ: მ. ს. გორბაჩოვისა და ს. ნ. რერიხის შეხვედრა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

14 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. შირაკი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

ამავე დღეს კრემლში დაიწყო ნ. ი. რიჟკოვისა და ჟ. შირაკის მოლაპარაკება.

პირდაპირობის, გულახდილობის, ერთმანეთის პოზიციების უკეთ გაგების მისწრაფების სულისკვეთებით გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის აწმყოსა და მომავალზე ევროპასა და მსოფლიოში ვითარების ევოლუციის კონტექსტით. ორივე მხარე იმ აზრს ადგას, რომ თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შეესაბამება საბჭოთა და ფრანგი ხალხების ინტერესებს, ხელს შეუწყობს ნდობის გადიდებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

• • •

სსრ კავშირის მთავრობის სახელით კრემლში სადილი გაუმართავს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს. სადილზე, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ი. რიჟკოვმა და ჟ. შირაკმა სიტყვები წარმოთქვეს. დამსწრეთ სიტყვები ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა მაისის უკანასკნელ დეკადაში.

16-17 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲚ-ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲖᲕᲐᲠᲘ?

ᲐᲛ კითხვაზე პასუხს გაგვცემს საქართველოს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში ბალ-ვენახების მდგომარეობის რესპუბლიკური დათვალიერება. იგი გაიმართება მიმდინარე წლის 16-17 მაისს.

დათვალიერების კომისიები ადგილებზე, ისინი კი შეიქმნება საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, ყველა რაიონსა და მეურნეობაში, განსაზღვრავენ ბალ-ვენახების საერთო მდგომარეობას, სარეველების ლიკვიდაციის, ჰერბიციდების შეტანისათვის განსაზღვრულ საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების დონეს. შეამოწმებენ აგრეთვე, თუ რამდენად დროულად და ხარისხიანად განხორციელდება სავეგეტაციო რწყვა, მწვანე ოპერაციები, ზოგიერთი სხვა ღონისძიებანი.

სპეციალისტებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა — კომისიის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ნიადაგის დამუშავების ხარისხს, ჰერბიციდების გამოყენების შემოწმებას, მცენარეთა მავნებლების, დაავადებების წინააღმდეგ აგროქიმიურ ღონისძიებათა განხორციელებას. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი უნდა შეუწყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევას, ყურძნისა და ხილის მოსავლის გადიდებას.

დათვალიერება გამოავლენს მოწინავე და ჩამორჩენილ მეურნეობებს, აგროგანყოფილებებს, ბრიგადებსა და რგოლებს, მეურნეობათა ცალკეულ მშრომელებს.

დათვალიერების შედეგებს შეაჯამებს სპეციალური კომისია. (ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲓᲐᲜ

ᲤᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 15 მაისი. (საკდესი). დაიწყო იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის კოსმოსური ვახტის მეთხუთმეტე კვირა.

განვლილი დღეების მანძილზე ფრენის პროგრამა შეიცავდა „კვანტის“ მოდულის განკოსმოსურების ღონისძიებებს, მისი სამეცნიერო აპარატურის ფუნქციონირების შემოწმებას, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ცალკეული რაიონების დაკვირვებასა და ფოტოგადაღებას, სამედიცინო გამოკვლევებს.

კოსმონავტებმა გამოსცადეს მოღულში დადგმული „ელექტრონის“ სპარატურა, რომელიც პოლტირებული კომპლექსის ატმოსფეროს გაზის შემადგენლობის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ელემენტია და განკუთვნილია წყლის ელექტროლიზის მეთოდით ჟანგბადის მიღებისათვის.

ორივე კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს. „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.



ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ იანვრის ბოლოს მეცხოველეობის საკითხებზე ვანის რაიონში ვიყავი. სოფელ ბზვანის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა, შარშანდელი მონაცემებით, რენტაბელური და შემოსავლიანი გახდა, ეს იმიტომაც, რომ აქ პირუტყვი საკუთარი წარმოების იაფფასიანი საკვებით უზრუნველყვეს, სილოსი, სენაჟი, თივა, ჩალა წლინახევრის მარაგი აქვთ, ხორცისა და რძის წარმოება გაიაფდა. თითოეულ საფურაჟე ძროხაზე 2.070 კილოგრამის ნაცვლად 2.805 კილოგრამი რძე მიიღეს.

ფერმის რენტაბელობის მიზეზი რომ გავიკითხეთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კარლო ტყეშელაშვილმა გვითხრა, სოია მოგვყავს დიდი რაოდენობით და მარცვალს ვფქვავთ, დღეში ორ კილო სოიის ფქვილს წყალში ვხსნით და მეწველ ფურს ისე ვაჭმევთ, რაც წველადობას მნიშვნელოვნად ზრდის. სხვა კომპონენტებთან შედარებით სოიის ფქვილი მეტად ყუთიანი და ცილიანი მდიდარია. თავმჯდომარე სანამ სოიის სიკეთეზე საუბარს დაამთავრებდა, ვიკითხეთ, საშუალოდ ჰექტარზე რამდენ ცენტნერ სუფთა მარცვალს ღებულობდნენ. ოც ცენტნერსო, რომ გვითხრა, ეს ციფრი გაზვიადებული გვეჩვენა, მაგრამ მაინც ჩავინიშნეთ.

ამჯერად სპეციალურად ჩავედი ვანში, აგროსამრეწველო გაერთიანებაში საბუღალტრო ჩანაწერებიდან ამოვიწერეთ: ბზვანის კოლმეურნეობას შარშან სოია სამარცვლედ 46 ჰექტარზე ეთესა. ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერს იღებენ. სხვა მეურნეობებმაც დაგვაინტერესა, ტობანიერის კოლმეურნეობას 34 ჰექტარი ნათესის თითოეულ ჰექტარზე 16,5 ცენტნერი სუფთა მარცვალი უწარმოებია, ხოლო ციხისუღორის მეგოსტნეობა-მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობას — 15 ცენტნერი. ეს ურიგო მაჩვენებელი როდია. არჩევანი მაინც ბზვანის კოლმეურნეობა იყო, რომელმაც სოიის სარეკორდო მოსავალი მიიღო.

აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილესთან ეკონომიკის დარგში გრიგოლ ოჩხრიკიძესთან ერთად ვეწვიეთ ბზვანელებს. კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი შოთა სოსელია საქმის ცოდნით ამბობს, მაგრამ ჩვენ მაინც საბუღალტრო მონაცემებიდან ვიწერთ: სოიის 46 ჰექტარი სუფთა ნთესიდან საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალია მიღებული, გეგმა 15 ცენტნერი იყო. ცალკეულ ბრიგადებს და ინდივიდებს უფრო მეტი აქვთ მიღებული. კოლმეურნეობის რვა ბრიგადიდან მეოთხე საწარმოო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ელგუჯა ხარაბაძე) 5 ჰექტარი სუფთა ნთესიდან საშუალოდ ჰექტარზე საგეგმო 15 ცენტნერის ნაცვლად მიიღო 23 ცენტნერი მარცვალი, მესამე ბრიგადას (ხელმძღვანელი ალექსანდრე ტყეშელაშვილი) მიღებული აქვს 20 ცენტნერი.

მემინდვრეებმა მიხეილ ოქრობილაშვილმა, გრიგოლ ტყეშელაშვილმა, ვალოდია თუთაშვილმა, ლევან ხურციძემ ნათესებს მზრუნველობა არ მოაკლეს და მართლაც სოიის უხვი მოსავალი მოიწიეს — ჰექტარზე გადაანგარიშებით 54-დან 70 ცენტნერამდე.

როგორ მიიღეს უხვი მოსავალი? რა ხერხებითა და მეთოდებით ახერხებენ ბზვანელები მოსავლიანობის გადიდებას?

— სრულად უბრალოდ, — შვილმა, ვალოდია თუთაშვილმა, ლევან ხურციძემ ნათესებს მზრუნველობა არ მოაკლეს და მართლაც სოიის უხვი მოსავალი მოიწიეს — ჰექტარზე გადაანგარიშებით 54-დან 70 ცენტნერამდე.

როგორ მიიღეს უხვი მოსავალი? რა ხერხებითა და მეთოდებით ახერხებენ ბზვანელები მოსავლიანობის გადიდებას?

— სრულად უბრალოდ, — ხიანად შესრულებას, მაგრამ მათ შორის უპირველესი საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში შესრულებაა.

ამაში დიდია გამოცდილი მექანიზატორების წვლილი. ტანთაოსნობით ბევრ სიახლეს ჩაეყარა საფუძველი. დაინერგა ინდუსტრიული ტექნოლოგია, ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება მევენახეობაში, მებოსტნეობაში, სამინდისა და სოიის წარმოებაში. მოგეხსენებათ შარშანდელი უამინდობა, ჯერ ხშირი კოკისპირული წვიმები და სიცივეები, შემდეგ მომაბეზრებელი გვალვები. სოიის კულტურა კი ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ იტანს. მიუხედავად ამისა, საგგგმო 15 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 20 ცენტნერი სუფთა მარცვლის მიღება ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია არა მარტო ვანის რაიონში, არამედ რესპუბლიკაშიც. აქ მარტო ტექნიკით ვერაფერს გააწყობ, თუ თითოეული კოლმეურნის დაინტერესება არ არის, თუ ისინი მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით არ არიან გამსჭვალული.

მაინც რა დაუჯდათ ბზვანელებს ცენტნერი სოიის სუფთა მარცვალი?

ცენტნერი სოიის მარცვლის მისაღებად 33 მანეთი და 50 კაპიკი უნდა დახარჯულიყო, სინამდვილეში კი 16 მანეთი და 39 კაპიკი დაიხარჯა, სხვა საკვები კულტურების წარმოებასაც გადავხედეთ საბუღალტრო ჩანაწერებში და თითქმის ასეევე გაიაფებული საკვების წარმოება.

მეცხოველეობის ფერმას ახლაც აქვს სოიის მარცვალი, რომელსაც იქვე ელექტროწისქვილში ფქვავენ. სათანადო ტექნოლოგიით დამუშავების შემდეგ ნელთბილად ეძლევა მეწველ ფურებში და თითქმის ასეევე გაიაფებული საკვების წარმოება.

მეცხოველეობის ფერმას ახლაც აქვს სოიის მარცვალი, რომელსაც იქვე ელექტროწისქვილში ფქვავენ. სათანადო ტექნოლოგიით დამუშავების შემდეგ ნელთბილად ეძლევა მეწველ ფურებს, მისი ჩენჩოც გამოიყენება საკვებად და საამაყოა, რომ შარშანდელ პერიოდთან შედარებით წლეულს ინვალიდ-მარტში იმატა რძემ და ხორცმა. თითოეულ ფურზე შარშანდელთან შედარებით 36 კილოგრამით მეტი რძეა მიღებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობამ შარშანწინ საერთო მაჩვენებლებით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და დამსახურებულად მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტ



გ. ᲕᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ,

ᲡᲝᲕᲭᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜᲐ ხალხმა, რომელიც საუკუნის დამდეგს დაღუპვის პირას იდგა, როგორ შეძლო არათუ გადარჩენილიყო, არამედ მიეღწია ესოდენ შთამბეჭდავი წარმატებებისათვის? ასეთი კითხვა არაერთგზის მსმენია საზღვარგარეთელ სტუმრებთან — პარლამენტარებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან შესვედრებისა და საუბრების დროს. ვუპასუხებ: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით.

სომეხი ხალხის ისტორია აღსავსეა ტრაგიკული მოვლენებით. მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა მისი თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთება, დამოუკიდებლობის, შემოქმედებისა და აღმშენებლობისადმი სწრაფვა. რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის იდეებმა, რუსეთში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაჩენამ სასიკეთო ნიადაგი პოვეს სომხეთის სინამდვილეში. პირველი მარქსისტული წრე სომხეთში შექმნა 1899 წელს თვალსაჩინო რევოლუციონერმა, ვ. ი. ლენინის მოწაფემ და თანამებრძოლმა ს. შაუმიანმა. ოთხი წლის შემდეგ შეიქმნა „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“.

საუკუნის დამდეგს ორი ათწლეულის მანძილზე ყალიბდებოდა და იწრთობოდა სომხეთის მუშათა კლასი. 1920 წლის ნოემბერში დაშნაკთა რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა. რევოლუციურმა სამხედრო კომიტეტმა სომხეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა. ამიერიდან სომეხი ხალხი გახდა თავისი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, მიიღო სახელმწიფოებრიობა, შესაძლებლობა აეღორძინებინა ფიზიკური და სულიერი ძალები, დადგომოდა გარდაქმნების ნათელ გზას. ათ წელზე ნაკლები იყო საჭირო, რომ თითქმის მთლიანად აღდგენილიყო დანგრეული მეურნეობა, ხალხს დაეძლია შიმშილი, სიღატაკე და ჩამორჩენა.

რა თქმა უნდა, დღეს რესპუბლიკის ეკონომიკას ვერაფერი ვერ შეედარებთ იმას, როგორიც იყო ომამდელი ხუთწლედების მანძილზე. საბჭოთა სომხეთი უშვებს კომპიუტერებს, რადიოელექტრონულ და რადიოტექნიკურ ნაწარმს, ზეზუსტ ხელსაწყოებს, ავტომობილებსა და ბევრ სხვა ნაწარმს. საბჭოთა საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობის სამრეწველო პროდუქცია ეგზავნება 70 ქვეყანას.

ტექნიკურ პროგრესს აჩქარებენ ჩვენი მეცნიერები, რომლებმაც მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს ასტროფიზიკაში, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, კვანტურ ელექტრონიკაში, პოლიმერებისა და აქტიური ბიოლოგიური ნაერთების ქიმიაში, გეოლოგიაში, სეისმოლოგიაში. ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებების მეოხებით რესპუბლიკა გახდა ბედის გამო მთელ მსოფლიოში გაფანტული ათიათასობით სომხის მიზიდვის ცენტრი.

ყველაფერი, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა სომხეთის ძველ მიწა-წყალზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მკაფიო, დამაჯერებელი მაგალითი, ერთიან ოჯახად შეკავშირებული საბჭოთა ხალხების ძმური დახმარებისა და ურღვევი მეგობრობის შედეგია. ჩვენ აგვაღორძინა და ახლანდელ მწვერვალამდე აგვიყვანა დიდმა ოქტომბერმა.

მისი 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მზადება რესპუბლიკაში მიმდინარეობს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის ნამდვილად რევოლუციური მითითებების რეალიზაციის ნიშნით, იმ ძირეული გარდაქმნებისა და განახლების პირობებში, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს ეხება. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებისა და დემოკრატიზაციის პროცესს, ეკონომიკურ და სოციალურ მშენებლობაში საბჭოების როლის გადიდებას, უძრაობისა და ნეგატიური მოვლენების დაძლევას.

გარკვეული ძვრები მიმდინარეობს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაშიც. მათ მუშაობაში შეინიშნება სულ უფრო მეტი გერგილიანობა, კონკრეტულობა, მეტი პრაქტიკული ღონისძიებანი ხორციელდება ფართო წრის საკითხთა შესრულებისათვის. ამავე დროს ეს ჯერჯერობით პირველი ნაბიჯებია. სერიოზული ნაკლი და ხარვეზი ბევრია. და დიდი შრომა გვჭირდება მათი დაძლევისათვის. ჩვენ გვესმის: უმოწყალოდ უნდა ვძირკვავდეთ აზროვნების ინერტულობას, უფრო ენერგიულად ვიღებდეთ ხელს დღეისათვის უვარგის მუშაობის მეთოდებსა და სტილზე, ვაყენებდეთ და ვჭრიდეთ პრობლემებს ზემოდან მითითებების გარეშე, მაქსიმალურ ყურადღებას ვიჩენდეთ ადამიანისადმი. იგი თავისი მოთხოვნილებებითა და კანონიერი მოთხოვნებით, სამწუხაროდ, ჯერ არ გამხდარა ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მიღებულ განცხადებათა რიცხვი ჯერჯერობით დიდია და წუხილს იწვევს. ამ განცხადებებში ადამიანები ძირითადად ჩივიან საბინაო კანონმდებლობის დარღვევის გამო, მოითხოვენ ბოლო მოეღოს ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს, არაკეთილსინდისიერებას საბჭოთა ორგანოების მუშაობაში. მათს საქმიანობას უნდა მიენიჭოს ნამდვილად სოციალისტური ხასიათი და შინაარსი.

სომხეთის მშრომელებს ღრმად აქვთ შეგნებული და მხარს უჭერენ დროის მთავარ მოთხოვნას — იმუშაონ უფრო აქტიურად, შემოქმედებითად, პასუხისმგებლურად. შრომითი კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მეცადინეობით რესპუბლიკაში დაწყებული გარდაქმნები გაიზრდება და გაღრმავდება. ეს პროცესი შეუქცევადია.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ თბილისს კეთილშობილური მისიით ესტუმრა ცნობილი მწერალი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვარდგეს პეტროსიანი. ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ არქიტექტურული ძეგლი უნდა აღმართოს, რომელიც სომეხი და ქართველი ერების მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთი სიმბოლო იქნება. და რაკი ამ კეთილშობილური გრძნობების ერთ-ერთი ქომაგი იყო ნოდარ დუმბაძე, ძეგლიც მის ხსოვნას ეძღვნება.

„ქართველ ბავშვებს ნოდარ დუმბაძის სომეხი ძმებისაგან“ — ეს სიტყვები ამოიკვეთება ძეგლის კვარცხლბეკზე.

ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ნიჭიერი არქიტექტორის ჯონ ტოროსიანის მიერ შექმნილი პროექტი მოიწონეს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში, და შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენს ჰაღორა და მარად ახალგაზრდა თბილისს კიდევ ერთი ძმეგენიერი ძეგლი შეემატება.

სომეხი და ქართველი ერების მეგობრობა იარაღით არის ნაყურთხი, იმ სისხლშია ნაწრთობი, რომელიც ერთად დაღვარეს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რწმენისა და დამწერლობის შენარჩუნებისათვის, ამ მზის ქვეშ ცხოვრების უფლებისათვის ბრძოლაში.

დიახ, ეს ეშმარიტად უშორეს წარსულში აქვს გადგმული ფესვი ჩვენს მეგობრობას, რომლის ცის კამარაზე კაშკაშებენ ჩვენი დიდებული ვარსკვლავები — თუმანიანი და წერეთელი, ჰაკჰაკაძე და სუნდუკიანი, შაუმიანი და ჯაფარიძე, ტიციანი და ეღიშე ჩარენცი, სულის, შთაგონებისა და თავისუფლების მრავალი მგოსნის სათაყვანო სახელები.

და აი, დღეს, ჩვენს ხანაში, ეს მეგობრობა ახალი შინაარსით გამდიდრდა. ცალკეული გამოჩენილი ადამიანების სულიერი სიახლოვიდან იგი გადაიქცა მრავალი კოლექტივის, რაიონისა თუ ქალაქის მჭიდრო, შრომითს თანამეგობრობად.

ამ რამდენიმე წლის წინათ, გარკვეული მიზეზისა გამო, გამომცემლობა „მერანმა“ ამ სტრიქონების ავტორს და მწერალ ვანო ურჯუმელაშვილს დაავალა ერთად დაეწერათ წიგნი საქართველოს და სომხეთის მეორე სამრეწველო ცენტრების — ქუთაისისა და ლენინაკანის შეჯიბრებისა და მეგობრობის შესახებ. წიგნი დაიწერა და ერთდროულად გამოვიდა სომხურად და ქართულად („დამძმობილებული ქალაქები“).

მასალების შესწავლისას ჩვენ ძმობისა და მეგობრობის ამაღლებული ფაქტების მოწმენი გავხდით, ფაქტებისა, რომლებიც იმდენად ჩვეული და ყოველდღიური გახდა, რომ ზნირად ვერც კი ვამჩნევთ ხოლმე.

აბა, როგორ არ აღელდები, როცა, გადაამჯობინებ თუ არა ლენინაკანის ჩაკლოვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ზღურბლს, საპატიო დაფიდან შემოგანათებენ ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის საუკეთესო მუშაკთა პორტრეტები.

ასევეა ქუთაისშიც: აქაც ნახავთ აქაურთა ლენინაკანელი მეტოქეების პორტრეტებს და მათი საწარმოო ობიექტების მაჩვენებლებს.

გულთბილი და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ ამ ორი ქალაქის ფეიქრების, რკინიგზელების, მშენებლებისა და სხვა კოლექტივებს. ისინი ხშირად ჩადიან ერთმანეთთან. აქვთ მომოწვრა და ამიტომ კარგად იციან ერთმანეთის ამბავი. მათ წერილებში მარტო მშრალ ციფრებსა და ფაქტებს როდი შეხვდებით. აქ იგრძნობა სიცოცხლის შჩქეფარება, აქ ძმურად იზიარებენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს.

ქუთაისელს დღეს შეუძლია ლენინაკანში თბილისის გზატკეცილით ჩავიდეს ტროლეიბუსით, რომლის ხაზები ქუთაისელ ელექტრიკოსთა საუკეთესო ბრიგადებმა დააყენეს. ასევე, ქალაქის მუზეუმში გაეცნოს თანამემამულეების ლეკვავსა და არველაძის რევოლუციურ მოღვაწეობას, იყიდოს ქართული პური და ისაუზმოს შესანიშნავ კაფეპავილიონ „ივერიაში“, და სრულიადაც ვერ იგრძნობს, რომ ასე შორს არის თავისი სახლიდან — სომხურ ქალაქში, რომელიც არაგაცის მთის პირდაპირ აღმართულა.

ასევე ტრადიციულ, სტუმართმოყვარე და ხალისიან ლენინაკანელს შეუძლია შინაურად იგრძნოს თავი ქუთაისელის ოჯახში.

აი, ის ახალი, სანუკვარი და სათაყვანო, რაც ჩვენმა ხანამ შვა, რაც დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ასეთივე გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ სოფლის მშრომელთაც. მიწის მუშებს. გაისად ნახევარი საუკუნე შეუსრულდება შემოქმედებითს შეჯიბრებას, რომელიც გაჩაღებულია სოფლებს ნატანებსა და ნალბანდიანს შორის, შეჯიბრებას, რომელმაც ამდენი სიკეთე მოუტანა ჩვენი ორი კოლმეურნეობის მშრომელებს.

ასეთივე მეგობრობით არიან შედუღაბებული ბოლნისი და კოტაიკი, ბარნეული და იჯევანი, მცხეთა და არტიკი, ბევრი სხვა რაიონი და ცალკეული მეურნეობანი.

ტყუილად ხომ არ უთქვამს ქართველ ხალხს: „ძმა ძმისთვის — შავი დღისთვისო“. ვინ არ იცის, როგორი გულისტკივილით გამოეხმაურა მთელი ჩვენი ქვეყანა სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს „რესპუბლიკას. სხვებთან ერთად დახმარების ხელი გაუწვდიეთ სომხეთმაც. ამის თაობაზე ბევრი რამ დაიწერა, ბევრი რამ გადაიცა რადიოთი და ტელევიზიით.

მე კი ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო, რომელიც, ერთი შეხედვით, დიდი არაფერია, მაგრამ თავისი შინაარსით ძალზე ბევრმახასიათებელია ჩვენი დროისათვის. ამ დღეებში გაზეთმა „სოვეტაკან ვრასტანა“ წერილი მიიღო ქალაქ კიროვოკანიდან. წერილის ავტორს — მერვე სკოლის მოსწავლეს, რვა წლის ვაგრამ მანჯაიანს თავისი დაბადების — 24 მანეთი დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში გადმოურიცხავს და /ახლა სურს მეგობრობა გაბას ქართველ თანატოლებთან. „მე წიგნებს და ფეხბურთის ბურთს გამოგიგზავნი, — სწერს ვაგრამი უცხო მეგობარს. — გეხვეწები, ზაფხულში ჩემთან ჩამოდი დასასვენებლად“.

ვინ იცის, იქნებ პატარა ვაგრამის ბავშვურმა ტიტიკმა შთაგაგონოს ჩვენ — მწერლები, და ამ თემაზე მოთხრობაც დაგწეროთ!

ორი რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა და სახელმწიფო გამომცემლობებმა ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრული და ლიტერატურული ურთიერთობის განსამტკიცებლად. ერთმანეთის კლასიკოსთა თხზულებებთან ერთად შთთ თავიანთ მკითხველებს მიართვეს თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებიც.

რაღა თქმა უნდა, მთელი ამ თარგმანების გვერგვინია უკვდავი „ვეფხისტყაოსანს“ ახალი სრული სომხური თარგმანი, რომელიც ნიჭიერ პოეტ ჰოვანეს ყარაიანს ეკუთვნის. ამ პოემის შემდეგ გამოვიდა იმავე ყარაიანის თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩრდილი ლეკსები, ნოდარ დუმბაძის ორტომეული, რომელიც ჩინებულად უთარგმნია ჰრაჩიკ ბაირამიანს, გამოიცა ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ციცინაშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, თამაზ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის, ლადო მძღლაშვილისა და სხვათა წიგნები.

ამასთანავე ქართველმა მკითხველმა მიიღო ავტიკ ისააკიანის, ვაჰან ტერიანის, შირვანზადეს, პარეირ სევაკის, გრანტ მათევოსიანის, ვარდგეს პეტროსიანისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანი.

ახლა იბეჭდება ქართულ ენაზე სომხური ლიტერატურის ანთოლოგია, გევორგ ემინის, ზორაინ ხალაფიანის, ხუტა ბერულავის და ზაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებთა თარგმანები.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექცია. ლიტერატურული ორგანიზაციების რიგებში, რომელიც 1921 წელს შეიქმნა და რომელსაც სათავე დაუდეს ჩვენმა კლასიკოსებმა ოვანეს თუმანიანმა და აკოფ აკოფიანმა, არიან მთარგმნელი მწერლები, რომლებმაც თანაბრად კარგად იციან სომხური და ქართული ენა და რამდენიმე ათეული წელია ნაყოფიერად მუშაობენ. სექციის ალმანახი „კამრუჯი“ („ხიდი“), მართლაც რომ, ის მკვიდრი ხიდია, რომელიც ჩვენს ლიტერატურებს აკავშირებს. ადგილობრივი სომეხი მწერლების ახალ ნაწარმოებებთან ერთად ალმანახის ფურცლებს ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების თარგმანებიც ამშვენებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი პროზაიკოსის რევაზ ჯაფარიძის ინიციატივა, რომელმაც სომხეთში ყოფნის შემდეგ თავისი საინტერესო მგზავრის ჩანაწერები შესთავაზა მკითხველს ჯერ ჟურნალ „ᲓᲜᲘᲗᲝᲜᲘᲡ“ შემდეგ კი ცალკე წიგნად, რომელიც, სხვათა შორის, ახლა სომხურად ითარგმნება.

ლიტერატურული ურთიერთობა, განმტკიცებისა და თარგმანის დარგში ნაყოფიერი მუშობისათვის მორის ფოცხიშვილს თუმანიანის სახელობის პრემია, ხოლო ზეზვა მედულაშვილს ჩარენცისა და მაჩაბლის პრემიები მიეჩინეთ, მაჩაბლის პრემია დაიმსახურა „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმნელმა ჰოვანეს ყარაიანმა.

უკვე დიდი ხანია მშვენიერ ტრადიციად დამკვიდრდა თბილისში საიათნოვას დღეებისა და განძაში ტერიანის პოეზიის დღეების აღნიშვნა. წელს ამას შეემატება დიდი ილიას იუბილე და ქართული პოეზიის დღეები სომხეთში.

ჩვენ აქ უპირატესად ჩვენი ორი ერის ლიტერატურული ურთიერთობა აღვნიშნეთ, მაგრამ ჩვენი მეგობრობა ხომ მარტოოდენ ლიტერატურით არ შემოიფარგლება. კინო, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა? აქაც დიდი წარმატებანი გვაქვს. ამის ბრწყინვალე დასტურია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის მარტიროს სარიანის სურათების გამოფენა თბილისში და სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის ლადო გუდიაშვილისა — ერევანში. ეს გამოფენები, რომლებმაც მთელ თვეს გასტანა, ხელოვნების ეშმაკრიტ დღესასწაულად იქცა და ათიათასობით დამთვალიერებელს ძმობის ღრმა გრძნობა გაუღვიძა.

ბევრი ასეთი მეტვირმეტყველური ფაქტის მოყვანა შეგვიძლია მეცნიერების, არქიტექტურის, განათლებისა და ცხოვრების სხვა სფეროებიდანაც.

სომეხი და ქართველი ერების მეგობრობა, რომელსაც შორეულ საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვი, გაცისკროვნებულია ოქტომბრის კაშკაშა სხივებით და აღსავსეა ჩვენი დღეების ახალი შინაარსით, ის ურღვევი საძირკველია, რომელსაც მტკიცედ ვეყრდნობით და ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად, მათ მხარდამხარ ჩვენს კომუნისტურ მომავალს ვეპედავთ.

ᲑᲔᲜᲘᲙ ᲡᲔᲘᲠᲐᲜᲘᲐᲜᲘ,

მწერალი, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ განყოფილების გამგე.

ᲐᲕᲔᲢᲘᲚ ᲘᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲘ

ᲛᲐᲛᲣᲚᲡ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲙᲕᲐᲛᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ
ᲑᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ
ᲖᲔᲪᲐᲡ ᲑᲣᲠᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲪᲐ
ᲕᲠᲪᲔᲚᲘᲐ.
ᲨᲔᲜᲡ ᲬᲘᲜ ᲮᲛᲐ ᲒᲖᲐ — —
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ,
ᲨᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ
ᲭᲘᲓᲣᲮᲠᲔᲚᲘᲐ.
ᲤᲠᲗᲝᲡᲐᲜ ᲠᲐᲨᲘᲕᲘᲗ
ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔᲑᲡ ᲭᲙᲕᲘᲗᲐᲕ,
ᲕᲐᲠᲡᲙᲚᲐᲕᲗᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲪᲘᲡ
ᲕᲘᲜᲐ ᲮᲐᲠ;
ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚ ᲣᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲡ
ᲓᲦᲔᲗᲐ
ᲕᲐᲪᲙᲐᲪᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ
ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓ.
ᲛᲪᲠᲘᲡ ᲛᲣᲭᲐᲠᲐᲖᲔ ᲣᲫᲠᲔᲙᲐᲓ
ᲓᲒᲐᲮᲐᲠ,
ᲐᲦᲐᲠ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲘ, ᲐᲮᲚᲐᲓ
ᲘᲬᲧᲔᲑᲘ,
ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ
ᲐᲮᲚᲡ
ᲣᲛᲦᲔᲠ ᲢᲠᲤᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ
ᲗᲐᲕᲓᲓᲐᲑᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ.
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ
ᲞᲐᲞᲐᲗᲐ — —
ᲛᲐᲛᲣᲚᲝ, ᲬᲘᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲐᲠ
ᲓᲠᲒᲔᲑᲘᲐ,
ᲒᲐᲓᲛᲝᲤᲠᲔᲜᲘᲚᲝ ᲩᲘᲢᲝ
ᲖᲦᲐᲠᲘᲓᲐᲜ — —
ᲡᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ
ᲓᲐᲒᲐᲯᲔᲣᲚᲘᲐ.

* * *

— ᲠᲐ ᲒᲐᲢᲘᲠᲔᲑᲡ, ᲩᲘᲛᲘ
ᲙᲐᲠᲒᲝ? —
ᲨᲔᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ, —
ᲗᲣ ᲨᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲩᲘᲛᲖᲔ
ᲛᲝᲗᲥᲐᲛ,
ᲠᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲕᲛᲨᲕᲘᲓᲓᲔ;
ᲗᲣ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲛᲓᲣᲠᲘ—
ᲔᲠᲗᲘ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲒᲕᲔᲣᲧᲝᲤᲐ,
ᲡᲣᲤᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲡ
ᲒᲐᲕᲨᲚᲘ ᲓᲐ
ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ.
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲛᲓᲣᲠᲘ
ᲛᲐᲨᲘᲜ?
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲔᲓᲒᲐᲠᲗᲝᲗ
ᲪᲠᲔᲛᲚᲘ
ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲡᲔᲣᲓᲐᲖᲔ.

თარგმნა
ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

◆ **ᲨᲝᲠᲔᲣᲚ** ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს საუკუნეთა მანძილზე ერთვნული თვითშენარჩუნებისათვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ დღენიადაგ ხმაღშემართული ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და მკვიდრდება.

◆ **ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲦ** პრაქტიკულად არ არის ჩვენი ყოველდღიური ცოცხალისა და საქმიანობის, კულტურის, ხელოვნების არც ერთი დარგი, სფერო თუ უბანი, რომლებშიც მოღვაწე ამ ორი მოძმე ერის წარმომადგენლებს მტკიცე თანამშრომლობა და მეგობრობა რომ არ აკავშირებდეთ.

◆ **ᲛᲔᲠᲔᲗᲘᲔᲚᲘ** და თუმანიანი, ჰაკჰაკაძე და სუნდუკიანი, ტიციან ტაბიძე და ეღიშე ჩარენცი, ჯაფარიძე და შაუმიანი... თბილისი და ერევანი, ქუთაისი და ლენინაკანი, მახარაძე და ოქტემბერიანი... სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ამ ორი რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა თუ სოფლების, ცალკეული საწარმოების მშრომელებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ისინი უშურველად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ეხმარებიან სიძნელეთა დაძლევასა და წინსვლაში, ძმურად იზიარებენ ჭირსა თუ ლხინს. სულ სხვა კირითა და ღუღაბით არის ნაგები ჩვენი ძმობის საძირკველი.

◆ **ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ** მჭიდრო ხდება ამ ერების ლიტერატურული და კულტურული თანამშრომლობა. ორივე რესპუბლიკაში სისტემატურად და მასობრივი ტირაჟით გამოდის ქართული და სომხური ლიტერატურის კლასიკოსებისა თუ თანამედროვე გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები.

◆ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კულტურისა და ხელოვნების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი უანგარო მეგობრობის მტკიცე ძაფებით იყო და არის დაკავშირებული თავის სომეხ კოლეგებთან. ეს კარგი ტრადიცია, თანამშრომლობა და მეგობრობა ახლაც გრძელდება. ქართული თეატრისა და კინოს ოსტატებს ხშირად იწვევენ, მაგალითად, „არმენფილმში“ მთავარი როლების შემსრულებლადაც კი. ამის საიღუსტრაციოდ მარტო სოფიკო ჭიაურელის მაგალითიც კმარა, რომელსაც სომხეთის სსრ სახალხო არტისტის სპეციალური წოდება აქვს მინიჭებული.

◆ **ᲐᲠᲪ** სომხური კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები და მათი შემოქმედებაა უცხო ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობისათვის. „მეგობრობის“ თეატრი ხშირად იწვევს საქართველოში მომმე სომხეთის თეატრადურ დასებს, ცალკეულ შემსრულებლებს, რომელთა ოსტატობასა და პროფესიონალიზმს მუდამ ღირსეულად აფასებენ ჩვენი სპეციალისტებიც და მაყურებლებიც.

◆ **ᲛᲭᲘᲓᲠᲝ** თანამშრომლობაა ეკონომიკის სფეროშიც. საქართველოდან სომხეთში იგზავნება სხვადასხვა ქიმიური ნაწარმი, ღეღაღი საღებავი, ანტიფრიზი, კაღიუმის პერმანგანატი და სხვა პროდუქცია.

◆ **ᲡᲝᲛᲔᲮᲘ** მეგობრები გვიგზავნიან „ერაზის“ მარკის ავტომობილებს, კომპრესორებს, ტუმბოებს, ჰიდროაპარატურას, ქვის საჭრელ დაზგებს, ღითონშეჭრელ ჩარხებს, აღმასის ინსტრუმენტებს და სხვ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲖᲘᲗ ᲒᲐᲪᲘᲡᲙᲠᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ

ᲫᲛᲐᲝ, ᲫᲛᲘᲗᲐ ᲮᲐᲠ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ





ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სომხური ხალხური ეპოსის გმირის მაიკის ქანდაკება ერევანში; X-XIII საუკუნეების ძეგლი — აბპატის მონასტერი; ბიურაკანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში; საწარმოო გაერთიანება „ლუიხის“ სამეურნეოანგარიშიანი კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადის ხელმძღვანელი სამფელ კარაპეტიანი.

ᲡᲐᲥᲠᲓᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲖᲔ

ᲐᲛᲝᲕᲬᲛᲕᲐᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ მე, „შვიდი სიმღერა სომხეთზე“ წიგნის ავტორს მკითხეს: ხომ არ აპირებ ამ წიგნის გაგრძელებას, რომელშიც თავმოყრილია ისტორია და თანამედროვეობაო. ჩვენი დრო სწრაფად მიქრის. ამ ნაწარმოების გამოსვლიდან ათწლეულების შემდეგ. რესპუბლიკასა და ქვეყანაში მოხდა მოვლენები, რომლებიც გაოგნებას მოითხოვს. და საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ უპასუხოდ დატოვონ ისინი, მაშინაც კი, თუ ჩვენი სტრიქონები ცეცხლოვანი იქნება.

მძაფრი ბრძოლა წარმოებს საზოგადოებაში მომზდარი ცვლილებებისათვის. ახალი სიო, რომელმაც 1985 წლის აპრილში დაბერა, ძალას გვმატებს აქტიურად ჩავერიოთ ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკაში, ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნულ ურთიერთობებ

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ

ᲐᲛ ზამთარს არნახულად აბობოქრებული სტიქიის შედეგად რესპუბლიკის 33 რაიონში პირისაგან მიწისა აღიგავა მთელი სოფლები, ასობით სახლი, საავადმყოფო, სკოლა, საწარმო...

— პატივცემულო ზურაბ, რამდენად დიდი ზარალი მიადგა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას?

— სტიქიამ უდიდესი ზარალი მოგვაყენა. წინასწარი დაანგარიშებით, იგი 350 მილიონ მანეთს შეადგენს. დაიტბორა 200 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. დაინგრა და დაზიანდა 4400-ზე მეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სერიოზულად დაზიანდა ბევრი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სარკინიგზო და ავტოსაგზაო ტრანსპორტი, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის ობიექტები, ჰიდროსამელიორაციო სისტემები და ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო-კომუნალური დანიშნულების ასობით დაწესებულება.

მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა სოფლის მეურნეობას. დაზიანდა 80 ათასი ჰექტარი სახნავი მიწები და მრავალწლოვანი ნარგავები. დაინგრა ათას ხუთასზე მეტი შენობა და ნაგებობა, მათ შორის მეცხოველეობის ფერმა. დაიღუპა უამრავი პირუტყვი, ფრინველი.

აღსადგენია დაახლოებით ორი ათასი კილომეტრი საავტომობილო ტრასა, ანუ დაზარალებული რეგიონების გზების საერთო სიგრძის თითქმის მეოთხედი.

მწყობრიდან გამოყვანილია კავშირგაბმულობის 260 კილომეტრი მაგისტრალური და დაახლოებით 500 კილომეტრი ადგილობრივი ხაზი, რადიოფიკაციის დაახლოებით 200 კილომეტრზე მეტი ქსელი. დაზიანებულია ელექტრომომარაგების დაახლოებით 800 კილომეტრი მაღალი ძაბვის მაგისტრალური და 1000 კილომეტრი მაღალი და დაბალი ძაბვის ქსელები.

განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა მაღალი მთის რაიონები — მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონები. დამცავი ჯებირის გარღვევას კატასტროფული წყალდიდობა მოჰყვა ხობის რაიონში. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი.

— რა დახმარება ეწევა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას?

— დახმარების მასშტაბის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სტიქიური უბედურების გამო დაზარალებულ რაიონებს ეწვია ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი მთავრობის კომისია, რომლის თავმჯდომარეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. შუარხოვსკი. პირველყოვლისა, დაფაყოვნებლივ გაეწიოთ დახმარება დაშავებულებსა და ავადმყოფთ. ხორციელდებოდა ზვავების შედეგად მოწყვეტილი სოფლების მცხოვრებთა სურსათით, სათბობით, წამლებით მომარაგების სასწრაფო ღონისძიებანი; ოპერატიულად მიმდინარეობდა კავშირგაბმულობის, ელეკტრო და წყალმომარაგების, სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის სამუშაოები.

მძიმე განსაცდელის დღეებში კიდევ ერთხელ გამოვლინდა ჩვენი ხალხის მაღალი ზნეობრივი თვისებები — ვაჟკაცობა, დიდსულოვნება, ძმობა, თანაგრძნობა. ცნობილია იმის ათობით, ასობით მაგალითი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, საკუთარი სიცოცხლის ფასად როგორ შველოდნენ დაზარალებულთ, ცდილობდნენ სახალხო დოვლათის გადარჩენას. სწორედ ამიტომ მხარდდა შემჭიდროვებულ ვადებში საშინი რეგიონებიდან 16 ათასზე მეტი კაცის გახიზნვა; მარტო დატბორილი ხობის რაიონიდან რამდენიმე საათში, თანაც ღამით, 6500 მცხოვრები გამოიყვანეს.

მაგრამ ახლა უკვე იმაზეც უნდა ვილაპარაკოთ, თუ როგორ უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას სტიქიით დაზარალებული რაიონები, როგორ მიმდინარეობს დანგრეულის აღდგენა.

უსახლკაროდ დარჩენილთ ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მთელი მოსახლეობა. გულთბილად და გულითადად შეხვდნენ დაზარალებულთ ქალაქ მარნეულში და მარნეულის რაიონში. სულ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში გახიზნულია 700 ოჯახი, ანუ სამი ათას ხუთასი კაცი. მათი დიდი ნაწილი ჯეროჯერობით შესახლებულია კომუნალურ ბინებში, ზოგიერთი კი სოფლებში სპეციალურად აშენებულ ცალკე კოტეჯებში. ყველა ბინაში დაიდგა საჭირო ავეჯი და ინვენტარი. ბავშვები დადიან სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ოპერატიულად წყდება დაზარალებული ოჯახების უფროს წევრთა შრომითი მოწყობის საკითხი. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები და შრომის სახელმწიფო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები დეტალურად სწავლობენ ახალმოსახლეთა პროფესიულ შემადგენლობას, კონკრეტულად განიხილავენ და წყვეტენ საუბნოთი მათი უზრუნველყოფის პრობლემას.

განისაზღვრა დაზარალებული ოჯახების წევრთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. ესენია სოფლები ტანძია, ლომთაგორა, ჯანდარი, საყულია და სხვ. ყველა სოფელში ახალმოსახლეთა ოჯახებისათვის შეარჩიეს მიწის ნაკვეთები. დაგეგმილია შეიქმნას ზოგიერთი ახალი სოფელი. შემუშავებულია საცხოვრებელი სახლების სამი ტიპობრივი პროექტი, რომლებიც მოიწონეს მომავალმა ახალმოსახლეებმა. უკვე დაწყებულია ასი სახლის მშენებლობა. სულ უნდა აშენდეს ორი ათასზე მეტი ასეთი სახლი. აიგება აგრეთვე სოციალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ამ მუშაობის დასაჩქარებლად რაიონებსა და სოფლებზე მიმაგრებულია საიჯარო ორგანიზაციები. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ თვითონ ახალმოსახლენიც. მათ დასახმარებლად იგზავნება კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები.

სახლების დიდ ნაწილს აშენებს რესპუბლიკის სახაგრომრეწვი დამტკიცებული გეგმით ამ მიზნებისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებათა და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტების ხარჯზე. სოფელ ხაიშდან ჩამოსახლებულთათვის კი სახლებს აშენებს საქჰიდროენერგომშენი — ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სახსრების ხარჯზე. ვინაიდან გათვალისწინებულია, რომ ბინებს დაზარალებულნი უსასყიდლოდ მიიღებენ, დანარჩენი სახლები აშენდება № 700 ბანკის ანგარიშზე დაზარალებული მოსახლეობისათვის გადარიცხული დახმარების ფონდის სახსრებით.

— ანგარიშის ნომერი კარგად იციან არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რა მიზნებს მოხმარდება შემოსული სახსრები?

— მართლაც, დღეს რუსპუბლიკისადმი დახმარების გეოგრაფია მეტად ვრცელია. ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის შრომითი დანაზოგები. № 700 ანგარიშზე უკვე გადმორიცხულია დაახლოებით 52 მილიონი მანეთი, რომელიც საკუთარი ნებით შეტანეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა. ეს სახსრები დაგვეხმარება მთლიანად გავათავისუფლოთ დაზარალებულნი ახალ ადგილას კეთილმოწყობასთან დაკავშირებული, კერძოდ, ავეჯის, საოჯახო ნივთების, პირუტყვისა და სხვა საჭირო საგნების შესასყიდი ხარჯებისაგან.

არც თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დარჩენილთ მოუწევთ საკუთარი სახლებიდან ახლის აგება ან ძველი სახლების კაპიტალური შეკეთება. ამ მიზნით სსრ კავშირის სახბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტიც № 700 ანგარიშის სახსრებით დაიფარება. დაზარალებული რეგიონების მეურნეობებსა და საწარმოებს ეძლევათ საკარმიდამო ტიპის კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსებისა და დაკრედიტების შეღავათიანი პირობები.

განისაზღვრა ბინების მშენებლობისა და რემონტისათვის სახბანკის კრედიტების დაფარვის წესი, ამავე ფონდიდან დაზარალებულთ გაეწევათ დახმარება მიყენებული ზარალის დონის შესაბამისად.

— როგორ მიმდინარეობს სახალხო-სამეურნეო ობიექტების აღდგენა?

— დაზარალებულ რაიონებში დროებითი სქემით უკვე აღდგენილია, მართალია, ნაწილობრივ, ელექტრომომარაგება, კავშირგაბმულობა, საავტომობილო გზები, თბო და წყალმომარაგება, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

მიმდინარეობს მზადება დანგრეულთა ნაცვლად ახალი ობიექტების მშენებლობისათვის. ამ მიზნით რესპუბლიკას წელს დამატებით გამოეყო 5,5 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ხის სახლები, 59 ათასი ტონა ცემენტი, 300 ათასი კვადრატული მეტრი რბილი სახურავი, 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი შიფერი, დაახლოებით 6 ათასი ტონა ლითონის ნაგლინი, 67 ათას ტონაზე მეტი ნავთობპროდუქტები, 334 სატვირთო ავტომობილი, 136 ტრაქტორი, ბულდოზერი, ექსკავატორი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ავანაზღაუროთ სტიქიის მიერ რესპუბლიკისათვის მიყენებული ზარალი — ეს ნიშნავს წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი, რომელიც ასე ძნელად დაიწყო. ეს უმთავრესი ამოცანაა.

— რა ღონისძიებანი ხორციელდება სტიქიური მოვლენების ამგვარი ტრაგიკული შედეგების თავიდან ასაცილებლად? მაღალი მთის რაიონებში ვითარება ხომ კვლავ საშიშია...

— სწორს ბრძანებთ, მთებში დღემდე არის მეწყერების, ღვარცოფებისა და წყალდიდობის საშიშროება. ამიტომ ყველა რაიონში, სადაც ეს მოხდა ან შეიძლება მოხდეს, შექმნილია სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და მათი განმეორების შემთხვევაში ზარალის თავიდან აცილების შტაბები. შემუშავებულია მოსახლეობის გახიზნის შემთხვევაში რაიონის ყველა ორგანიზაციის თანამოქმედების მწყობრი სისტემა. საშიშებლო ქვეგანაყოფები აქ აღჭურვილია დამატებითი მექანიზმებით: მთლიანად არის გაბზადებული კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სიგნალიზაციის საშუალებანი.

მთავრდება მდინარეებზე დაზიანებული დამცავი ჯებირების აღდგენა, მიმდინარეობს ყველა არსებული ჯებირის შემოწმება მათი სიმყარის გადიდების მიზნით. მდინარე რიონზე მთელი შვიდკილომეტრიანი ჯებირის გასწვრივ მორიგეობენ სპეციალისტები. მუდმივ კონტროლს უწევენ ელექტროსადგურების წყალსაცავებში წყლის დონეს, რათა კატასტროფული წყალდიდობის შემთხვევაში უზრუნველყონ მისი რეგულირება.

რესპუბლიკის რეგიონებში, სადაც საშიში ბუნებრივი პირობებია, მოსალოდნელ ჰიდრომეტეოროლოგიურ ვითარებასთან დაკავშირებით მდგომარეობას სისტემატურად განიხილავენ რესპუბლიკის მთავრობის კომისიის სხდომებზე. კომისია აგრეთვე განიხილავს ენერგომომარაგების, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე და ნაპირგასამაგრებელ ნაგებობებზე სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის საკითხებს და იღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს.

საუბარი ჩაიწერა

Ა. ᲙᲝᲙᲐᲘᲐᲛᲘ,

საქინფორმის კორ.

ᲐᲠᲐᲒᲕᲘ ᲐᲓᲘᲓᲓᲐ

თბილისი ამინდმა კავკასიონის მწვერვალებზე თოვლის ინტენსიური დნობა გამოიწვია. მკვეთრად გაიზარდა მდინარე არაგვის დონე ფშავ-ხევსურეთის ხეობის მთელ გაყოლებაზე. გამძვინვარებულმა ნაკადმა წალეკა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ორი ბოძი და დაიზიანა ხუთი, რეგიონის სოფლების უმრავლესობაში შეწყდა ელექტრონენერგიის მიწოდება. შეწყვეტილია სატრანსპორტო მიმოსვლა სოფლებთან შუახოსთან, უკანაფშავთან, თხილიანთან, უძილაურთან.

— წყალდიდობისათვის მზად ვიყავით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ავთანდილ თეთრუაშვილმა. მოსახლეობა წინასწარ მოვამარაგეთ სურსათით, პირუტყვის საკვებით, საწვავ-საპოხი მასალებით, მედიკამენტებით. ადგილებზე მუდმივად მუშაობს მძლავრი ტექნიკა, რომელიც გზებს წმენდს.

(საქინფორმი).

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲭᲔᲓᲠᲐᲓ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა საარჩევნო კრებაზე საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისას წამოყენებული კანდიდატურა მოუსოდნელი არ ყოფილა. უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის ინიციატივით კრებამდე დიდი ხნით ადრე ეს კანდიდატურა განიხილეს ინსტიტუტის კათედრებზე და ლაბორატორიებში, რისი მეოხებითაც წინასწარ გაითვალისწინეს მუშაკთა აზრი კოლეგისა და იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც საქალაქო საბჭოს დეპუტატმა უნდა გადაჭრას არჩევის შემთხვევაში.

რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრმა, რომელიც ყოველწლიურად ათასამდე სპეციალისტს ამზადებს სახალხო მეურნეობისათვის, ბოლო წლებში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. მის კურსდამთავრებულებს შეხვდებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და - ზშირად — ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მაღლდება ლექტორების, მასწავლებლების კვალიფიკაცია, რომელთაგან 40 პროცენტზე მეტს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება. მაგრამ „ზრდის სიძნელეები" თავის პრობლემებს აყენებს, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ინიციატივიანი, ენერგიული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების უფრო აქტიურ მიზიდვას.

სწორედ ასეთ ადამიანად მიიჩნიათ კოლეგებმა ინსტიტუტის პროგრესტორი სამეცნიერო ნაწილში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ გერონტის ძე შუბლაძე.

— სხვას ვერავის დავასახელებ ისეთს, უკეთ რომ გაართვას თავი სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში ჩვენი წარმომადგენლის მოვალეობას, — თქვა ავტომატიკის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ა. ხურციძავამ. — მაგრამ კონკრეტული სურვილებიც მინდა გამოვთქვა შუბლაძის მიმართ: აქტიურად ჩასწვდეს ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების განახლებისა და მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტას. ვფიქრობ, როგორც დეპუტატი, იგი შეძლებს უფრო აქტიური გავლენა მოახდინოს ინსტიტუტის მასწავლებლთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე.

— როგორც ანალიზი ცხადყოფს, — თქვა სოციოლოგიური კვლევის კაბინეტის გამგემ ი. ტრაბასკამ, — სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში ჯერ კიდევ საკმარისად აქტიურად არ მონაწილეობენ სტუდენტები. ჯერ კიდევ დაბალია წარმოებაში ინსტიტუტის ნამუშევართა დანერგვის კოეფიციენტი. როგორც პროგრესტორის სამეცნიერო ნაწილში და ამავე დროს დეპუტატს, თენგიზ შუბლაძეს ბევრის გაკეთება შეუძლია ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

— ჩვენ გვახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინათ, როცა პირველად აირჩიეს დეპუტატად, მან ძალ-ღონე არ დაიშურა ინსტიტუტისა და მთელი მიკრორაიონის წყალმომარაგების, გათბობის საკითხების გადაწყვეტისათვის, — ბაზი გაუსვა ხის დამუშავების ტექნოლოგიის კათედრის გამგემ ნ. კობერიძემ. — სახოგადოებრივი მუშაობის გამოცდილება დაეხმარება მას ჩვეული ენერგიითა და აყუჩაცია. რამდენიმე რეპლიკა მიგვანიშნებს იმას, რომ ამერიკელები წინააღმდეგობის გაუწევლად დანებებულან და ახლაც პასიურად ეგუებიან თავიანთ ხვედრს. სწორედ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია ამერიკის მემარჯვენე წრეების უკმაყოფილება. ცნობილი კონსერვატიული ორგანიზაციის „ეკიდურეკი ინ დემიოს" პრეზიდენტის ირვინის აზრით, ფილმში გადმოცემულია იმის არარეალური სურათი, თუ როგორი იქნებოდა ცხოვრება ამერიკაში საბჭოთა ოკუპაციის პირობებში. მის აღშფოთებას მხოლოდ ამერიკელთა უმოქმედობა იწვევს.

სულ სხვა კუთხით აკრიტიკებენ ფილმს ანტიმილიტარისტული ორგანიზაციები. ორმოცმა ასეთმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ „ამერიკას" მაკარტიზმის დროში გადავყავართ. მათ ფართო საპროტესტო კამპანია გაიჩაღეს სკოლებსა და ეკლესიებში.

ამერიკის ოკუპაციაში საბჭოთა ჯარებს ებმარებიან... ეგერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბლემიანი გაურკვეველი ეროვნების სამხედრო შენაერთები. ფილმის სცენარისტი და რეჟისორი რაიტი დღეს სინანულს გამოთქვამს, რომ მან „დროზე ვერ შეამჩნია" ემბლემებისა და ალმის „მსგავსება". გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა ტელეკომპანიისაგან, როგორც მინიშნა, სატელევიზიო დრო მოითხოვა „ცისფერი მუზარადების" (ასე უწოდებენ ეგერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო შენაერთებს) შელახული ღირსების აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ.

რასაკვირველია, აღმაშფოთებელი ფაქტია, რომ ამერიკაში, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საერთაშორისო გაერთიანება, ასე ადუშად იგდებენ, შეურაცხყოფენ, სახელსა და ავტორიტეტს უტეხენ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითსა და ნაყოფიერ ორგანიზაციას. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რატომ დასჭირდა ცნობილ ტელეკომპანიას ასეთი ფართომასშტაბიანი და თავისი შედეგებით შეიძლება შორსგამიზნული პროვოკაცია? ან ოქმის საფრთხის, ოქმის ბირთვული და ქიმიური საშუალებების ლიკვიდაციისათვის გამიზნულ კონსტრუქციულ წინადადებათა შორის არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, სხვა მომმე სახელმწიფოების გაბედული, შორსგაძიზნული ინიციატივები. გამარჯვება დღის წინ პოლონეთის ხელმძღვანელმა ვ. იარუზელსკიმ ვარშავაში წამოაყენა ევროპის ცენტრში შეიარაღების შემცირებისა და ნდობის განმტკიცების კომპლექსური გეგმა. ეს სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებისათვის გამიზნული წინადადება მოიცავს ოთხი სოციალისტური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბელგიის, ნიდერლანდის, ლუქსემბურგისა და დანიის ტერიტორიებს. შემდგომში იგი შეიძლება მთელ ევროპაში გავრცელდეს. გეგმა ითვალისწინებს ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული იარაღის, ჩვეულებრივი შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, მაქსიმალური ძალისა და დაზიანების სიზუსტის, მოულოდნელი თავდასხმისათვის გამოსადეგი შეიარაღების დათქმულ სახეობათა თანდათან გატანასა და შემცირებას, აგრეთვე სამხედრო დოქტრინების ხასიათის იმგვარად შეცვლას, რომ ისინი ორმხრივად ცნონ მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითს დოქტრინებად.

„იარუზელსკის გეგმა" ჰელსინკში სრულიად ევროპის თანხმობით დაწყებული პროცესის შემადგენელი ნაწილია. მისი აზრი და მნიშვნელობა იკვეთება იმით, რომ იგი წამოაყენა პოლონეთმა ვარშავის ხელშეკრულების წევრ მოკავშირეებთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ და ახალი კონსტრუქციული წინადადებაა განიარაღების დარგში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საერთო პროგრამის ფარგლებში.

სოციალისტური სახელმწიფოები კვლავ დასტურებენ თავიანთ გადაწყვეტილებას შემდგომშიც აქტიურად თანამოქმედეთ ერთმანეთთან, მთელ პრაგრესულ და მშვიდობისმოყვარულ ძალებთან იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ ბირთვული საფრთხე, განსაკუთრებით ევროპაში, მიაღწიონ განიარაღებას, შექმნან საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

უშიშროების საბჭოში

ᲓᲐᲑᲛᲔᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ხუთშაბათს გადაჭრით დგამო ირანისა და ერაყის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქიმიური იარაღის გამოყენება, რომელიც გრძელდება.

უშიშროების საბჭოს განცხადებაში, რომელიც მიღებულია ამ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ინფორმაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა მისიის მოხსენების მიხედვით, დაგმობილია აგრეთვე ამ კონფლიქტის განგრძობა, რომელიც იწვევს მსხვერპლს და მატერიალურ ზარალს, საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობასა და უშიშროებას, ქმნის სხვა სახელმწიფოებში გავრცელების საშიშროებას. უშიშროების საბჭომ ორივე მხარეს მოუწოდა ითანამშრომლონ კონფლიქტის უსწრაფესი მოწესრიგებისათვის, ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და პოზიტიურად გამოეხმაურონ მის მეცადინეობას ორ ქვეყანას შორის მშვიდობის აღდგენისათვის.

ფოტოინფორმაცია

აშშ. ქვეყნის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ცნობილი ამერიკელი მომღერლისა და მსახიობის, მშვიდობისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის პოლ რობსონის დაბადების 89 წლისთავი. ლირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით მოეწყო რობსონის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმები, მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმების ფესტივალი, საღამო კითხვა, გამოფენები და კონცერტები. ზეიმობის მიზანია გაფაქტოს დუშილის შურუსი, რომელშიც სურთ გასვეინონ ამერიკელ ხელისუფალთ დიდი მომღერლის სახელი მისი სიკვდილის შემდეგაც კი.

სურათზე: ამერიკელი პროფესორი ისტორიკოსი ფილიპ ფონერი აჩვენებს პოლ რობსონის დაბადების დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა აფიშას;

საკ.ᲥᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

◆ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ᲣᲞᲘᲠᲔᲑᲘᲜ ᲒᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ

ლონდონი. სამხრეთ აფრიკის ხელისუფლებამ ანტირასისტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ვინი მანდელას გადასცეს უფლება იმის შესახებ, რომ იგი უნდა გაახახლონ სოუეტოში მდებარე მისი სახლიდან იოჰანესბურგის აფრიკელთა გარეუბანში. ეს განაცხადა რეიტერის საააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში თვით ვინი მანდელამ.

პატრიოტის თქმით, მორიგი რეპრესიების საბაბი გახდა მისი მონაწილეობა სოუეტოს ათიათასობით მცხოვრების საპროტესტო აქციაში, რომლებიც უარს ამბობენ ბინის ქირის გადახდაზე. მანამ, სანამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი არ გაუქმებენ შემოღებულ საგანგებო წესებს. მაგრამ, როგორც აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლთა წრეებში აღნიშნავენ, პრეტორიის მმართველთა ნამდვილი მიზანია ვინი მანდელა გადაასახლონ და ამით ხელი შეუშალონ მას აქტიურად მონაწილეობდეს ანტირასისტულ ბრძოლაში.

უკვე პირველი წელი როდია, რაც სამხრეთ აფრიკის საიუმელო პოლიცია ნამდვილი ტერორის კამპანიას ეწევა ამ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ, რომელიც განაგრძობს თავისი მეუღლის — სამხრეთაფრიკელთა ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნელსონ მანდელას საქმეს, რომელიც ახლა საპყრობილეში იტანჯება, ვინი მანდელას არაერთხელ დასხმიან თავს, მა გამუდმებით უთვალთვალებს პოლიცია.

მაგრამ დაშინების მიუხედავად ვინი მანდელამ განაცხადა, რომ არ აპირებს ხელი აიღოს სოუეტოს მცხოვრებთა საპროტესტო აქციებში მონაწილეობაზე და არც სოუეტოდან არ გაადგამს ფეხს.

◆ ინდოეთი

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲐ

დელი. ბანდიტური გამოხდომა ჩაიდინეს სეპარატისტული დაჯგუფების ვაუბატონებმა, რომლებიც საზღვარგარეთიდან დახმარების წყალობით მოკალთებული არიან ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრიპურის შტატში. როგორც იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას საააგენტო იუწყება, მათ ცეცხლი დაუშინეს შტატის სამხრეთ ნაწილში გზაზე მიმავალ სატვირთო მანქანას, რომელშიც ჯარისკაცები ისხდნენ. თავდასხმის შედეგად ხუთი კაცი დაიღუპა და 13 მძიმედ დაიჭრა. ტერორისტებმ მიიმალნენ. ხელისუფლებმა საჭირო ღონისძიებანი განახორციელეს მათი ძებნისა და დაკავებისათვის. ყველა პოლიციური საგუშაგო და სასაზღვრო რაზმი საბრძოლოდ არის გამზადებული.

ᲣᲘᲐᲠᲐᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ — ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲐ

ᲑᲝᲚᲝ რამდენიმე დღის ამბებმა კიდევ ერთხელ დამაჯერებლად ცხადყო, რომ უიარაღო მსოფლიო სოციალიზმის იდეალია. აღლიერებენ რა მშვიდობიან შეტევას, სოციალისტური ქვეყნები ახალ ინიციატივებს აყენებენ განიარაღების დარგში და ამით ავლენენ დიდ პასუხისმგებლობას კაცობრიობის „გადარჩენისათვის ბრძოლაში. „ახლა, — თქვა ქალაქ ლენინსკის მშრომელებთან შეხვედრაზე მ. ს. გორბაჩოვმა, — მსოფლიო სიტუაციის განვითარების პასუხსაგები მომენტია. და ჩვენ დინამიკურად, გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა მივაღწიოთ რეალურ ძვრებს".

ცნობილია სსრ კავშირის წინადადებანი ბირთვული იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების შესახებ. საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემაზე ხელშეკრულების პროექტის შემდეგ ქვევეის მოლაპარაკებაზე კიდევ ერთი პროექტი წამოვაყენეთ. მასში წინადადებას ვიძლევით მოვილაპარაკოთ „შეთანხმებათა საკავშირო დებულებათა" შესახებ, რომლებიც განიარაღების მთელ რიგ დიდ პრობლემებს, მათ შორის სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებას ეხება. მსოფლიოში უდიდეს მზარდაჯერას პოულობს საბჭოთა კავშირის პოზიცია მშვიდობიანი კოსმოსის შენარჩუნების საკითხში. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების სერიოზული საშიშროება.

● ᲐᲨᲨ

ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲨᲔᲢᲔᲕᲐᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც „ირან-კონტრევოლუციონერთა" საიდუმლო აფერის კონგრესში მიმდინარე გამოძიების დროს განსასჯელის მდგომარეობაში აღმოჩნდა, კონტრშეტევას ამზადებს კაპიტოლიუმის ბორცვზე.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტისათვის" გახდა ცნობილი, პრეზიდენტ რეიგანის უახლოესი მრჩევლები აპირებენ სადავო გახდონ ეგრეთ წოდებული ბოულენდის შესწორების კონსტიტუციურობა, რომელიც კრძალავს ნიკარაგუელი მეამბოხეებისადმი დახმარების გაწევას. როგორც ცნობილია, კონგრესის ამ საკანონმდებლო აქტის საწინააღმდეგოდ „ირან-გეიტის" მონაწილეებმა მოაგვარეს კონტრრევოლუციონერებისადმი ასეთი დახმარების გაწევა. ახლა თეთრი სახლის იურისკონსულტმა კალვაჰაუსმა მოამზადა ბოულენდის შესწორებისადმი შეტევის გეგმა იმ საფუძველზე, რომ იგი ეწინააღმდეგება ხელისუფალთა დაყოფის კონსტიტუციურ პრინციპს. „პრეზიდენტი ღრმად არის დარწმუნებული, — განუცხადა რეიგანის ერთ-ერთმა წამყვანმა თანაშემწემ გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტს" — რომ დადგა საპასუხო დარტყმის მიყენების დრო".

15 მაისი ● საკავშირო ინფორმაცია

ᲣᲙᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘᲗᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ● ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

„ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ" ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲑᲘ სწრაფად იცვლება კადრები... უსიცოცხლო გარემო, გაწამებული ადამიანები რაღაც მძიმე ფუთებს ეზიდებიან იარაღმომარჯვებული ბადრაგის თანხლებით, საკონცენტრაციო ბანაკები... მთელ ეკრანს ფარავს ვარსკვლავებ-ზოლებიანნ, „ისლის" მოსვრილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალამი, ხოლო მის ფონზე დიდი ასოებით წარწერაა „ამერიკა". კადრს მიღმა დიქტორის ხმა: „1996 წელი. ამერიკა სულ სხვაა, მაგრამ ოცნება იგივე დარჩა. თავისუფლების ზარები გვიხმობს".. ასე იწყება ფილმ „ამერიკის" ყოველი ნაწილი, რომელსაც თვით ამერიკაში სამართლიანად უწო

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲘ ᲗᲔᲛᲐ

▼▼

უბირთვო მსოფლიოს იდეა, საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, თანამედროვეობის გლობალური საკითხები — ამ და სხვა პრობლემებს ისახავენ საბჭოთა კავშირ-იაპონიის X სიმპოზიუმზე „მშვიდობა და უშიშროება აზიაში“, რომელიც 14 მაისს დაიწყო მუშაობა ნეაღტუბოში. სიმპოზიუმში მონაწილეობენ ორი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები, დიპლომატები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი.

▼▼



9 წლითწლობით ფართოვდება რესპუბლიკის ერთ-ერთი სამრეწველო და კულტურული ცენტრი — ქუთაისის სატელეფონო ქსელი. ამ ოცდა ხნის წინათ მწყობრში ჩადგა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური ექვსი ათასი ნომრის ოდენობით. შენობაში, სადაც მოთავსებულია ავტომატური სატელეფონო სადგური განლაგდა ავრეთვე ცენტრალური ტელეგრაფი. ახალი სატელეფონო სადგური ააშენეს საკავშირო „ტელეფონშენის“ ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს თბილისელმა სპეციალისტებმა.

სურათზე: ახალი ასს-3-ის ერთ-ერთ დარბაზში.

ბ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

▼▼

ბუნებრივი და სინთეზური ცეოლითები იაფი და ეკონომიური კატალიზატორებია მრეწველობისათვის. ისინი ხელს უწყობენ გარემოს დაცვას, აჩქარებენ ქიმიურ რეაქციებს, შლიან და ასუფთავებენ მავნე გამონაბოქვლებს. სახალხო მეურნეობაში ცეოლითების შემდგომი გამოყენების საკითხებს მიეძღვნა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენელთა სამეცნიერო სემინარი, რომელიც 12 მაისს გაიხსნა სოხუმში. სამი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილენი განიხილავდნენ მრეწველობაში ცეოლითების გამოყენების, ახალი ეფექტიანი კატალიზატორების შექმნის პრობლემებს, დასახავენ ამ დარგებში შემდგომ ერთობლივ სამუშაოთა მიმართულებებს.

▼▼

ბათუმში გამართული „მონრეალი-87“ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარის მონაწილეებმა შეისწავლეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სატვირთო მონორელსური გზების დაპროექტებისა და დანერგვის გამოცდილება. სესია მოაწყო რესპუბლიკის სპეციალური ტრანსპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახაგრომრეწვითან, სსრ კავშირის სახელმწიფოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ახალი სახეობის ტრანსპორტის საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

XI ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ...

ქალთა XI საერთაშორისო საშაადრაკო ტურნირის პირველ ტურში მეტად მძაფრად განვითარდა არახამია-ახმილოვსკაის შეხვედრა. გავიხსენოთ, რომ სწორედ მათ დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები წინა საერთაშორისო ტურნირში და ახლაც პრიზიორების ძირითადი პრეტენდენტები არიან. თანაც არახამიამ დიდოსტატის მეორე ბალის მოსაპოვებლად უნდა იხრუნოს. ლაზიერის გამბიტში არახამია შეეცადა ხელთ ეგდო ინიციატივა, მაგრამ შეცდა. უპირატესობა შავების მხარეზე გადავიდა, რომლებმაც პაიკი მოიგეს. მაშინ არახამიამ მეტად შეუპოვარი თამაშით შეძლო უშალო მუქარის მოგერიება, შემდეგ კი პაიკიც დაიბრუნა. ბოლო სვლებს თეთრები უსასტიკეს ციაბრატში აკეთებდნენ, მაგრამ შეძლეს მატერიალური წონასწორობის შენარჩუნება. პარტია გადაიდო ეტლების ენდშპილში, სადაც მეტოქეებს სამ-სამი პაიკიც აქვთ. გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, პოზიცია ბევრ ნიუანსს შეიცავს და ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი.

დიდოსტატის ბალის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა ხუგაშვილმა შავებით პაიკი მოუგო ბულგარელ პეიჩევას. მაგრამ ბრძოლამ დაიბული ხასიათი მიიღო. პეიჩევამ შეძლო მატერიალური წონასწორობის აღდგენა. თითქოს ყაიმთან ახლოს იყო, მაგრამ პარტიის გადადების წინ ხუგაშვილმა მახვილგონიერულად ითამაშა და კვლავ შეძლო მდგომარეობის გამწვავება. რუმინეთის ჩემპიონ ეიკმანს გამორჩა ტაქტიკური დარტყმა და უფიგურად დარჩა ლეშნერთან (პოლონეთი). ლეშნერი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა, გაამარტივა პოზიცია და პირველი ქულა მოიპოვა. მოსკოველ დიდოსტატებს კოხოპლიოვასა და ზაიცევას არ გაუმწვავებიათ ბრძოლა და სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. სხვაგვარად მიმდინარეობდა ქასოშვილისა და კახიანის შეხვედრა. აქ მეტოქეები ცდილობდნენ თითოეული პრაქტიკული შესაძლებლობა გამოეყენებინათ და ყაიმზე მხოლოდ მაშინ შეთანხმდნენ, როცა დაფაზე სრულიად თანაბარი დაბოლოება წარმოიქმნა.

ტურნირზე მოგვიანებით ჩამოსულ ქუთაისელ ოსტატ ლაგვილავას სატურნირო ცხრილში პირველი ნომერი ერგო, შვედ საერთაშორისო ოსტატ ნიუბერგს კი მეთორმეტე. მათი შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება.

გ. გამრეკელი.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ფეხბურთი. გთავაზობთ საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩების შედეგებს: მინსკის „დინამო“-მოსკოვის „ტორპედო“ — 3:2, „მეტალისტი“-„ტავრია“ — 0:0 (პენალტებით 2:3), მოსკოვის „დინამო“-„კოლოსი“ — 1:0, კიევის „დინამო“-„ასკ „ყარპატი“ — 4:0. ამრიგად, ნახევარფინალში ითამაშებენ: კიევის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“ და „ტავრია“ — მინსკის „დინამო“. წრილისყრის თანახმად ეს გუნდები ნახევარფინალურ მატჩებს 22 მაისს გამართავენ. მოიწყო საკავშირო ჩემპიონატის ერთი კალენდარული მატჩიც: „ზენერტმა“ დაამარცხა „ჟალგირისი“ — 1:0.

რეგბი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: ქუთაისის „მშენებელი“-ტერასპოლის „ელექტრომაში“ — 49:9, ალმა-ათის „ასკ-თბილისის „ლოკომოტივი“ — 15:9, კიევის „ავიატორი“-თბილისის „შევარდენი“ — 50:3, მოსკოვის „სლავა“-კრასნოიარსკის „ეკსკავატორტიაესტრაი“ — 10:6, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი-ლენინგრადის „პრიმორეცი“ — 18:10.

ჩოგბურთი. ლვოვში გამართულ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე სხვებთან ერთად თავი ისახელა თბილისელმა ბ. ძაგანიამ. ჭაბუკთა შორის იგი უქლიერესის წოდებას დაეუფლა.

წყალბურთი. საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრ კავშირი-იტალია — 12:7, გფრ-კუბა — 14:9, ესპანეთი-საბერძნეთი — 11:8. იუგოსლავია-აშშ — 9:8. ოთხი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირისა და გფრ-ის წყალბურთელები.

ბადრაკი. ამსტერდამში დამთავრდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მ. ეიფეს მემორიალი. ორწრიან შეჯიბრებაში მონაწილეობდა 4 მოჭადრაკე. ა. კარპოვმა და ი. ტიმანმა (პოლანდია) 4-4 ქულა დააგროვეს და პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. მესამე ადგილზე გამოვიდა ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — 2,5 ქულა, მეოთხეზე — ვან დერ ვილი (პოლანდია) — 1,5.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ფარნაოზ გიორგის ძე **ლაპაიაშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი გიორგი **ნიკოლოზის** ძე **შენგელაია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იმედი ვლადიმერის ძე **კახიანი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

საბჭოთა და საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. ლილი დუგუეის ასული **ბგანბა** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საოლქო გაზეთის „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი ამხ. სერგი მიხეილის ძე **კვიწინია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე დიმიტრის ძე **უჩანეიშვილი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲒᲖᲐ, ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ -ᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲜᲘ

მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა ადამიანი. მშობლებმა დაკარგეს შვილი, დაქვრივდა ახალგაზრდა ქალი, უმამოდ უნდა გაიზარდოს ბავშვი...

არავინ იფიქროს, რომ ჩვენს დედაქალაქში ავარიების მხრივ საგანგაშო მდგომარეობა გვქონდეს, პირიქით, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გვაქვს კლება და საკმაოდ სოლიდური, მაგრამ თვითდამშვიდებას ვერ მივეცემით მანამ, ვიდრე ერთი ადამიანი მაინც დაიღუპება ჩვენს ქუჩებში და გზებზე.

შორსა ვართ იმ აზრიდან, თითქოს დღეგანდელ ადამიანს, დღეგანდელ მძღოლს შეიძლება თითის ჩვენით ველაპარაკოთ, ჩვენ ადამიანური ლაპარაკის მომზრენი ვართ. მაგრამ, ვაი, რომ ყველას არ ესმის. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

წლეულს, 18 იანვარს „საქსპორტრემშენის“ № 4 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბრიგადიერი კონსტანტინე ვალერიანის ძე გაფრინდაშვილი (ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის II კვარტალის, 34-ე კორპუსში მცხოვრები) უმინდობლობად, მთვრალი მართავდა ავტომანქანას, რომელიც ეკუთვნის ქ. რუსთავში, მესხიშვილის პირველი გასასვლელის № 3-ში მცხოვრებ მეტალურგიული ქარხნის ინჟინერს გიგლა გერმანეს ძე ჯანგველაძეს. ამ დარღვევისათვის მძღოლ კ. გაფრინდაშვილს სამი წლით ჩამოერთვა მართვის მოწმობა.

22 აპრილს იგივე კ. გაფრინდაშვილი იმავე ავტომანქანაში, მხოლოდ სხვა სახელმწიფო ნომრით (ია 0360 გრ) იგივე მფლობელით ისევ მთვრალი მიუჯდა საჭეს, ავტომობილს განმეორებით მთვრალი მართვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მასალები გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს, ვიდრე საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივიდოდა, 3 მაისს იგივე კ. გაფრინდაშვილი უკვე მესამედ მართავდა მთვრალი ისევ იმ ავტომანქანას.

რატომ არიან ასე გათავხედებულნი კ. გაფრინდაშვილი და გ. ჯანგველაძე? ლოთი მძღოლი მკაცრად დასაჯეს, მაგრამ საკითხავია, როგორ იმართლებს თავს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის წინაშე ინჟინერი გ. ჯანგველაძე, ან რატომდა ენდო მას?

საავტომობილო ტრანსპორტი ჩვენი ცხოვრების სარკე გახდა თავისი ღირსებითა და ნაკლოვანებებით. ღირსებით იმიტომ, რომ ბევრი წესიერი ადამიანი, დისციპლინიანი მძღოლი მართავს საქმეს, ხოლო ნაკლოვანებებით, რადგან ჩვენდა სავალალოდ ბევრი გვყავს დამრღვევი, ელემენტარულ, ადამიანურ კულტურას მოკლებული. არადა დედაქალაქში ჩამოსულ სტუმარს სწორედ ასეთი მძღოლები ხვდება თვალში და ამით ქალაქის მცხოვრებთა და ერის კულტურაზე მსჯელობენ. ამიტომ ყველას არა აქვს მორალური და იურიდიული უფლება საჭეს მიუჯდეს. ავტომანქანას მხოლოდ კაცური კაცები, ნამდვილი ადამიანები უნდა მართავდნენ.

ალბათ ხშირად წაწყდომიხართ კონფლიქტს მძღოლსა და ავტოინსპექტორს შორის, ეს იმ „ხიდჩატეხილობის“ პრობლემის ერთ-ერთი ელემენტია, მძღოლსა და ავტოინსპექტორს შორის წლების მანძილზე რომ დამკვიდრდა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ყველანი უზადო კულტურით გამოირჩევიან, მაგრამ ერთი კი ნათელია, ხშირად კონფლიქტი მძღოლის დარღვევით იწყება. ამას შემდეგ მოჰყვება ორმხრივი ნერვების აშლა. დროა, ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა, ვიფიქროთ ერთმანეთის ჯანმთელობაზე.

სხვა გამოსავალი არ არის, დამრღვევების მიმართ ვიბრძოლებთ მანამ, ვიდრე სახელმწიფო წესრიგი არ დამყარდება ჩვენს ქუჩებში და გზაჯვარედინებზე.

გ. ოდიშარია,
ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ვფიქრობთ, კარგად ესსომებათ „კომუნისტის“ ა. წ. 16 აპრილის ნომრის მეოთხე გვერდზე დაბეჭდილი კრიტიკული ფოტორეპორტაჟი, რომელშიც ასახული იყო რესპუბლიკის დედაქალაქში შემოსახელული სარკინიგზო მაგისტრალების და მათი შემოგარენის საავალალო მდგომარეობა, უწესრიგობა, უსუფთაობა.

ჩვენს მკითხველებს იქვე ეპირდებოდით, რომ უახლოეს ხანში ამავე ადგილებიდან ახალ ფოტოსურათებს დაბეჭდავდით. გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული ერთი თვის წინანდელი (16 აპრილის ნომრისა) და ახლანდელი ფოტოსურათების შედარება ერთხელ კიდევ უტყუარად ადასტურებს იმას, რომ წესრიგს ყურადღება, გულმოდგინეობა სჭირდება. ხომ დავგვიანეთ, დავასუფთავეთ, მინიმალურად მოვაწესრიგეთ, ახლა თვალი გვეჭიროს, გავეუფრთხილდეთ დედაქალაქის პრესტიჟს.













3. გენგიურისა და ფ. კრიმსკის ფოტო. „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06921 **საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ბოშარაულის ქ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 9.50 — მოამბე. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 15.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი“. 16.00 — ეკონომიკის კურსი. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.10 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.40 — განცხადებები. 17.45 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ფურადღება, საწარმოში ახალბედა!“. 18.05 — უმცროსკლასელთათვის. „წვიანოთვალი“. 18.40 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.00 — მოამბე. 19.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — ერევნის „არარატი“ (რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან). 21.15 — კავკასიის საუნელტეხლო რკინიგზა — საუკუნის მშენებლობა (გადაცემა II). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ლანჩხუთის „გურია“ — ბაქოს „ნეფთჩი“. (მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი ლანჩხუთიდან). 23.30 — კონცერტი სტუდიაშია ანსამბლი „ელადა“.

მეორე პროგრამა. 16.30 — მხატვრული ფილმი „თემური და მისი რაზმი“ (ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღის გამო). 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „კოლოეთი“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 16.00 — ბბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.20 — განცხადებები. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ პიონერები ვართ“. 18.20 — პიონერული საზეიმო კონცერტი. 19.00 — „ხელოვნების ოსტატები“. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ჭიაურელი (მ.). 20.15 — მოამბე. 20.55 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინის ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი I — „ჩვიდმეტი წლის ასაკში“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.45 — თეატრალური ალფაშა. 23.15 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „პოლიტიკური სამღერის ფესტივალი“.

მეორე პროგრამა. 16.16 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქებიცა და სოფლებიც“. 17.08 — ქართული დოკუმენტური ფილმი „თბილისის პიონერთა სასახლე“. 17.28 მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანგარსკის მეოთხე“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.45 — ახალი გრამფირფიტები. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — მათემატიკის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი. „მეცნიერება და ტექნიკა“. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.20 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 18.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 19.25 — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ ბელ ნუქიძე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — კამერული მუსიკის კონცერტი. 21.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი II — „შეხვედრა“ (მ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ვეფრბა“.

მეორე პროგრამა. 16.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეატრალური ისტორია“. 17.30 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა. 18.15 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.25 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — „თეატრალური ფოსტა“. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 15.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეოშკების ქვეყანაში“. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „სხვისი ტკივილი“. 17.40 — რეკლამა. 17.50 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — წერილის დღე. 19.05 — „დაიბეჭდა ილიას ვიზიო“. ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლის გამო. (გადაცემა მეორე). 19.40 — წერილის დღე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. ფილმ-კონცერტი „ანე ვესკი“. 21.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები“. მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. ფილმი III — „სიმწიფე“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — წერილის დღე. 22.45 — კინოჩანახატი. 23.00 — „კინოპანორამა“ (თბილისის საკავშირო კინოფესტივალზე). 23.45 — „მუსიკოსები ხუმრობენ“.

მეორე პროგრამა. 16.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვობის წყაროსთან“. 16.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები“. 17.30 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 18.15 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 18.25 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 22 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — „ვრემია“. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.50 — დიდი ოქტომბრის რეგოლუციის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რაჭის ეტიუდები“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.40 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.10 — რეკლამა. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი „სახელი, რომელსაც ყველა აშენებდა“. 17.30 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 18.15 — მოსწავლეთათვის. „გზა მშვენიერებისაკენ“. 18.55 — ახალგაზრდობისათვის. „შუქნიშანი“. 19.10 — „გახსენება“. პოეტი ვერიკო წერეთელი. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 19.55 — მოამბე. 20.30 — „რეზონანსი“. დემოკრატია და ადამიანთა უფლებები (მ.). 21.45 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 21.50 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის — მეგობრობის კონცერტი.

მეორე პროგრამა. 16.00 — მხატვრული ფილმი „ბაბაჯუნელის იმედი“. 17.15 — კინოჟურნალი. 17.25 — განცხადებები. 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიგადის მაგნიტური ველი“. 17.50 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.15 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბიძინა“. 12.05 — შევისწავლოთ რუსული ენა. 12.35 — სოციალისტური შრომა ახალ საფეხურზე. 13.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.30 — „კინომელოდიები“. 14.00 — სპორტული ფილმების ფესტივალი. 14.45 — „ბუნების კარი“. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება. 15.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.45 — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.40 — შეხვედრა ოსტანკინოს სტუდიაში სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან შ. ამონაშვილთან (მ.). 18.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.15 — დიალოგი მწერალთან. არჩილ სულაკაური. 19.05 — კონცერტი. 20.00 — მოამბე. 20.35 — „ზურუნვა“. 21.15 — რომანსების საღამო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ტელეხიდი მოსკოვი — ვაშინგტონი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენების შეხვედრა (მ.). 23.55 — შემეცნებით-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის.

ᲙᲘᲕᲘᲠᲐ, 24 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმები „ჯორდანო ბრუნო“, „ბაჩუბარა“. 10.15 — დღის გასართობი პროგრამა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება. „სიმღერის შესწავლა“. 12.30 — საკვირაო გამოფენა — ჟ. მეძმარიაშვილი. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — სპორტული ფილმების ფესტივალი. 13.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი ონიაშვილი“. 14.00 — საკვირაო გამოფენა — ჟ. მეძმარიაშვილი. 14.05 — სატელევიზიო ჟურნალი „თბილისი და თბილისელები“. 14.40 — „ვესტნიკი“. 15.10 — მუსიკის მოყვარულთა კლუბი. 16.20 — საკვირაო გამოფენა — ჟ. მეძმარიაშვილი. 16.25 — „ჩვენი სოფელი“. 17.25 — „შეხვედრა ნინო ანანიაშვილთან“. 18.30 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზურაბ ნიკურაძე“ (საქართველოს ტელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღვაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მსოფლიო საოპერო ხელოვნების საგანძურიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მსოფლიოს საოპერო ხელოვნების საგანძურიდან (გაგრძელება). 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

16 ᲛᲐᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტიფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.00 — დღესასწაული ბაგირში. 9.25 — „ბიჭუნი გზის პირას“. IV სერია. 10.25 — „რატომ და რისთვის“. 10.55 — უსაფრთხო მოძრაობა. 11.25 — მუზეუმების საერთაშორისო დღე. 12.00 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 13.00